პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 224 (4724)

1972 წ. 12 ნოემბერი, კვირა.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან



## მშდ-ს სარბიელზე — ნორჩები

# დიდი გამარჯვება

უჟგოროდში გუშინწინ დამთავრდა ჭაბუკ ფეხბურთელთა საკავშირო პირველობის ფინალური ტურნირი. დამთავრდა იგი ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა გამარჯვებით. თბილისის ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლის გუნდი, რომელსაც წლების მანძილზე სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვ. ელოშვილი ხელმძღვანელობს, კვლავ უძლიერესია უძლიერესთა შორის. კვლავო იმიტომ ვამბობთ, რომ ამგვარ ფინალურ ტურნირებში იგი მერვედ მონაწილეობდა და ოთხჯერ იყო პრიზიორთა შორის. ეს საქართველოს ჭაბუკ ფეხბურთელთა დიდი გამარჯვება, რომელიც სახელოვანი სკოლის მთელი კოლექტივის თავდადებული შრომის შედეგად მოვიდა.

კარგად გვახსოვს პირველი ტურის შემდეგ საქართველოს ფეხბურთელთა მისამართით გამოთქმული შენიშვნები ცენტრალურ პრესაში. გვახსოვს ისიც, თამაშიდან თამაშამდე როგორ იცვლიდნენ ტონს მიმომხილველები. ეს არ იყო შემთხვევითი მეტამორფოზა: თბილისელმა ჭაბუკებმა თავიანთი აზრიანი და ლაღი თამაშით მოხიბლეს უფროსი ამხანაგები, სპეციალისტები, რომლებმაც უკან წაიღეს მანამდელი „ბრალდებები“ და ალტაცებული სტრიქონები უძღვნეს ქართველ ჭაბუკთა ოსტატობას.

ამ მხრივ საინტერესოა „სოვეტსკი სპორტის“ სპეციალური კორესპონდენტის ო. კუჩერენკოს წერილი — „თბილისელთა მერვე ფინალი“, რომელიც ასე იწყება: „წინა რეპორტაჟში, როცა ჭაბუკ ფეხბურთელებს დაბალი შედეგიანობისა და გოლის გატანის ნაღდი შანსების გამოუყენებლობისთვის ვაკრიტიკებდი, მაგალითად მოვიყვანე თბილისელი ფორვარდი გაგუა, რომელმაც კიეველთა კარში ვერ გაიტანა ასპროცენტიანი გოლი. მომდევნო ორ შეხვედრაში ამ ნორჩმა ფეხბურთელმა... თავი გამოიჩინა, როგორც ნიჭიერმა ბომბარდირმა და ტურნირის საუკეთესო სნაიპერიც გახდა. მან ორჯერ აილო ცსკა-ს კარი, ხოლო გოლი, რომელიც „შრომით რეზერვებს“ გაუტანა, პირდაპირ შეუდარებელი იყო. საჯარიმოს მისადგომებთან, პატარა მონაკვეთზე, გაგუამ ხუთ მეტოქეს აუარა გვერდი და თოთხმეტი მეტრიდან ბურთი მიზანს მოახვედრა“.

რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, როცა გამოცდილი მიმომხილველის ამგვარ სიტყვებს კითხულობ. ჩვენის მხრით დავუმატებთ, რომ „შრომითი რეზერვების“ კარში გატანილმა ბურთმა გაგუას ულამაზესი გოლისთვის დაწესებული სპეციალური პრიზი მოუტანა.

• • •

ბოლო დღის მატჩები ასე დამთავრდა: „შრომითი რეზერვები“ (მოსკოვის ოლქი) — სპორტინტერნატი (კიევი) 3:1, ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლა (ფრუნზე) — ცსკა 2:3, ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლა (უჟგოროდი) 0:3.

საბოლოო ადგილები: 1. თბილისი, 2. ფრუნზე, 3. „შრომითი რეზერვები“, 4. ცსკა, 5. სპორტინტერნატი, 6. უჟგოროდი.

ტურნირის საუკეთესო მოთამაშეებად აღიარეს: მეკარე შიგაბუდინოვი, მცველი მიხაილოვი (ორივე — ფრუნზე), ნახევარმცველი კოპალეიშვილი, თავდამსხმელი გაგუა (ორივე — თბილისი). საუკეთესო ბომბარდირი გახდა ჩოკმოროვი (ფრუნზე).

თბილისის გუნდს გადაეცა ყოველკვირეული „ფუტბოლ-ჰოკეის“ პრიზი — „ყველაზე ტექნიკურ გუნდს“.



სოხუმში დაიწყო ქალაქის მოსწავლეთა XXVI სპარტაკიადა, რომელიც მომავალი წლის მაისამდე გასტანს. სპარტაკიადის პროგრამაშია ცურვა, ტანვარჯიში, ჭადრაკი, ტყვიის სროლა, მძლეოსნობა და მშდ კომპლექსის მრავალჭიდი. უკვე დამთავრდა შეჯიბრება მშდ კომპლექსის მრავალჭიდში, სადაც გუნდური პირველობა მე-12 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა მოიპოვეს. მომდევნო ადგილებზე შესაბამისად გავიდნენ მე-8 და მე-4 სკოლების გუნდები.

• • •

სურათზე: უმცროსი ასაკის (V-VII კლასები) გოგონები 300 მეტრზე კროსში აბარებენ მშდ კომპლექსის ნორმატივებს.

გ. იაშვილის ტექსტი და ფოტო.

# ენგურჰესის მშენებელთა ქვირფასი სტუმრები

ამას წინათ ენგურჰესის მშენებლებს ეწვივნენ ჩვენი სასიქადულო სპორტსმენები: ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი მშვილდოსნობაში ქეთევან ლოსაბერიძე, მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი კალათბურთში ზურაბ საკანდელიძე, ევროპისა და სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი ჩოგბურთში ალექსანდრე მეტრეველი.

სტუმრებმა დაათვალიერეს ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი და ენგურჰესი. საღამოს ძალოვანი კვანძის სამმართველოს კულტურის სახლში მოეწყო გულთბილი შეხვედრა, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა ენგურჰესის მშენებლობის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა რ. ფიფიამ.

სტუმრებს მიესალმნენ ენგურჰესის მშენებლობის ფიზკულტურის მეთოდისტი პ. ჭეჟია, ინჟინერი რ. დგებუაძე, ადგილკომის თავმჯდომარე ო. ქუხილავა, მუშა ი. გეტმანენკო და სხვ.

სტუმრების სახელით საპასუხო სიტყვა თქვა ა. მეტრეველმა.

შეხვედრის დასასრულს კონცერტი გამართეს რუსთავის ქიმიკოსთა სახლთან არსებული ვოკალური ანსამბლ „რუსთავის“ სოლისტებმა.

ქ. ფიფია.
(ჩვენი კორ.).

ზუგდიდი.



## ხუთჯერ და სამჯერ...

საქართველოს სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების სპარტაკიადაში რამდენიმე ახალგაზრდა მოცურავემ გამოიჩინა თავი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თბილისელი გ. გოდერძიშვილისა და ქუთაისელი ტ. კოსტირიოვას წარმატებები. თბილისელი ჭაბუკი ფინიშთან ხუთჯერ მივიდა ყველაზე სწრაფად, ხოლო ქუთაისელმა გოგონამ სამჯერ გაიმარჯვა.

• • •



სურათებზე: გ. გოდერძიშვილი მორიგი გამარჯვების შემდეგ; ტ. კოსტირიოვა ასპარეზობისას.

თ. გაჩეჩილაძისა და ლ. ფაჩუაშვილის ფოტოები.



## ლიდერებს გაუჭირდათ

**ტოლიატი, 10 ნოემბერი.** მოჭადრაკე ქალთა აქ მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატის VI ტური ლიდერთა დაძაბული ბრძოლით აღინიშნა. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია რუბცოვას შეხვედრამ კოზლოვსკაიასთან. თავდაპირველად კოზლოვსკაიას უკეთესი პოზიცია ჰქონდა, მაგრამ შეცდა და სწრაფი შეტევით შეეცადა თავის დახსნას. როგორც ჩანს, მან ზედმეტად შეაფასა საკუთარი შანსები და საყათიმო გაგრძელებას გვერდი აუარა. პოზიცია გამარტივდა და რუბცოვასთვის მოსაგებ ენდშპილში გადავიდა. პარტია გადაიდო.

ასევე დაუმთავრებელი დარჩა კისლოვას შეხვედრა კონოპლიოვასთან. გათამაშების მეორე ლიდერს კისლოვას (როგორც ცნობილია, მასთან ერთად ამ ტურის წინ კოზლოვსკაია ლიდერობდა) ეტლების ძნელი დაბოლოება შერჩა.

ყაიმით დამთავრდა პარტიები: სამული — რანიკე, ბორისენკო — შადურა, მკრტჩიანი — საუნინა. შჩერბინამ მოუგო ბაკინას.

დასამთავრებელია კიდევ ოთხი პარტია. შულს ენდშპილში ორი ზედმეტი პაიკი აქვს მედიანიკოვასთან შეხვედრაში, ეპშტეინს კი სემიონოვას წინააღმდეგ. ბელოვასთან პარტიაში იდელჩიკს უკეთესი დაბოლოება აქვს. რთულ პოზიციაშია გადადებული ლევიტინასა და ანდრეევას შეხვედრა.

## ლეინი პირველია

**ნოვი-სადი, 10 ნოემბერი.** იუგოსლავიის ამ ქალაქში დამთავრდა მოჭადრაკე ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი. I ადგილი დაიკავა საბჭოთა დიდოსტატმა ა. ლეინმა — 12 ქულა 15-დან. გამარჯვებულს ქულით ჩამორჩა ამერიკელი დიდოსტატი პ. ბენკო. მესამე შედეგი — 9,5 ქულა — ერთნაირად სამ მონაწილეს აქვს: ბ. ივკოვს, ბ. პლანინცს (ორივე — იუგოსლავია) და ნ. მინევს (ბულგარეთი).

## ერთი კოლმეურნეობის ფიზკულტურელები

მდინარე ირტიშის პირას, ფიჭვნარში, სემიპალატინსკის ოლქის ნოვოშულბინის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ მოაწყო მშვენიერი სათხილამურო ბაზა გამქირავებელი პუნქტით. იქვე ახლოს საციგურაოც შენდება. კოლმეურნეები ზამთრის დადგომისთანავე დაიწყებენ აქ მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებას.

კოლმეურნეობაში რეგულარულად ტარდება ტურნირები სპორტის სხვადასხვა სახეობაში. განსაკუთრებით პოპულარულია ცხენოსანთა შეჯიბრებები, რომლებშიც შვიდივე ბრიგადის წარმომადგენლები მონაწილეობენ.

ფიზკულტურის კოლექტივს ოცი საზოგადოებრივი ინსტრუქტორი ჰყავს. ძალოსანთა სექციას შოფერი ვ. დარიბაევი ხელმძღვანელობს, მოჭიდავეებს — ტრაქტორისტი ა. ბელიაევი, მოჭადრაკეებს — ვ. კაცუბი. ბევრ სოფლის ფიზკულტურელს სპორტული თანრიგი აქვს.

კოლმეურნეობაში ტრადიციად იქცა სპორტული საღამოები. ამ დროს სარბიელზე გამოდიან მძლეოსნები, მოჭიდავეები, ძალოსნები, ეწყობა საუბრები სპორტზე, უჩვენებენ სპორტულ კინოფილმებს, აწყობენ გამოჩენილი საბჭოთა და უცხოელი სპორტსმენებისადმი მიძღვნილი წიგნების გამოფენებს.

სემიპალატინსკი.

## „შენი სახლი — შენი სტადიონი“

ლიტვაში ყოველწლიურად ტარდება საინტერესო კონკურსი „შენი სახლი — შენი სტადიონი“. წლეულს ამ კონკურსში გამარჯვება ვილნიუსის № 20 სახლმმართველობას ხვდა.

მიკრორაიონის 300-ზე მეტი სპორტის მოყვარული ყოველდღე გამოდის ახალი საცხოვრებელი მასივის ცენტრში მოწყობილ კალათბურთის, ფრენბურთისა და სხვა მოედნებზე. ზამთრობით საციგურაო ეწყობა და მობინადრეთა განკარგულებაშია ოთხი ჰოკეის მოედანი, რომელთაგანაც ერთი სტანდარტული ზომისაა. ჰოკეისტთა სექცია ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანია, ხოლო ამ სახეობის წარმომადგენელთა ტურნირები — ყველაზე მასობრივი. მიკრორაიონის ბავშვთა ეზოს გუნდები ქალაქის ჩემპიონები არიან „ოქროს შაიბა-72“-ის გათამაშებაში (ორ ასაკობრივ ჯგუფში).

სპორტკლუბის სული და გულია ფაბრიკა „მიანასის“ მუშა ვიტაუტას ბაშინსკასი. ტანვარჯიშითა და ზამთრის სახეობებით გატაცებულმა, მან თავის ვაჟს რიმანტასსაც ბავშვობიდანვე შეაყვარა სპორტი. „საშინაო სტადიონი“ უმცროსი ბაშინსკასისთვის დიდ სპორტში ტრამპლინად იქცა: წლეულს მან სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა ჩემპიონობა მოიპოვა აკადემიურ ნიჩბოსნობაში.

ს. მაინტრაუზასი.

ვილნიუსი.

სსრკ 50

საქართველოს სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების სპარტაკიადა

# მასპინძლობდა ქუთაისი

ძალოსნურ სამჭიდში დღემდე არსებული რეკორდები ისტორიას ჩაბარდა. როგორც ცნობილია, საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით, შეჯიბრებები ახლა მხოლოდ ორჭიდში (ატაცი და აკვრა) ტარდება. უკვე დადგინდა რეკორდების საწყისი ნორმატივებიც.

ასეთი პროგრამით ოქტომბრის დამლევს პირველად ჩვენს რესპუბლიკაში ქუთაისში გაიმართა საუწყებათაშორისო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება, რომელშიც პირველობას ერთმანეთს ეცილებოდნენ 22 წლამდე ასაკის ახალგაზრდები. პარალელურად აქვე გაიმართა რესპუბლიკის პირადი ჩემპიონატიც. სარბიელზე გამოვიდნენ მეხიკოსა და მიუნჰენის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი, სპორტის დამსახურებული ოსტატი დ. შანიძე, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ა. ჯეჯელავა, საქართველოს სსრ ნაკრების გუნდის წევრები: ვ. ლობჟანიძე, ჯ. გოგსაძე, ო. დემუროვი, თ. ძაგოევი, ვ. კაზანჯიანი და სხვ.

ქუთაისის სპორტკომიტეტი (თავმჯდომარე ლ. ახვლედიანი) დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა შეჯიბრების მომზადებასა და ჩატარებას. ავტოქარხნის სპორტული კლუბის „კოლხიდის“ გამგეობამ შეჯიბრებისთვის საუკეთესო დარბაზი გამოყო.

სპარტაკიადის დებულებით, მონაწილეებს სერიოზული გამოცდა ელოდათ: გუნდებს ჩათვლას აძლევდნენ მხოლოდ ის სპორტსმენები, რომლებიც პირველი თანრიგის ნორმატივს შეასრულებდნენ. ამ პირობამ მონაწილეთა რიცხვი შეჯიბრების დაწყებამდე შეამცირა: ვერც ერთი გუნდი ფიცარნაგზე სრული შემადგენლობით ვერ გამოვიდა, უმჩატეს და ზემძიმე წონით კატეგორიებში კი სპორტსმენთა სიმცირის გამო სპარტაკიადაში ადგილები საერთოდ არ განაწილებულა.

საშუალო წონის ძალოსანმა ო. დემუროვმა (თბილისი, „განთიადი“) 2,5 კილოგრამით გაზარდა თავისივე რესპუბლიკური რეკორდი ატაცში — 142,5. წარმატებით გამოვიდნენ დინამოელები ს. ჩიმიშკიანი, ა. ციბანი (ორივე — თბილისი) და შ. ლომიძე (რუსთავი), სპარტაკელები ზ. მაღრაძე და ნ. ნახუცრიშვილი (ორივე — თბილისი), ა. ლობჟანიძე (თბილისი, „ბურევესტნიკი“) და თ. ძაგოევი (თბილისი, „კოლმეურნე“).

დასანანია, რომ პირად ჩემპიონატში მონაწილე ისეთმა ცნობილმა ოსტატებმა, როგორიც არიან ვ. ლობჟანიძე („განთიადი“), ჯ. გოგსაძე და ა. ჯეჯელავა (ორივე — „კოლმეურნე“), თავიანთი შესაძლებლობანი ვერ განსაზღვრეს და ნული მიიღეს.

სპორტსაზოგადოებათა რესპუბლიკური საბჭოების ხელმძღვანელები ალბათ ამ ტურნირის შედეგებს განიხილავენ და საჭირო ღონისძიებებს დასახავენ მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის.

გამარჯვებულებს გადაეცათ საქართველოს სპორტკომიტეტის პრიზები. „კოლხიდის“ გამგეობის სახელით დ. შანიძეს მისმა პირველმა მწვრთნელმა, ამ კლუბის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ბ. კუჭუხიძემ სამახსოვრო პრიზი გადასცა.

შეჯიბრების შედეგების გათვალისწინებით დაკომპლექტდა რესპუბლიკის ახალგაზრდული ნაკრები, რომელიც 21-25 ნოემბერს ტომსკში სსრ კავშირის თასის გათამაშებაში გამოვა.

კარგად იმუშავა მსაჯთა კოლეგიამ, რომელსაც საკავშირო და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი კ. ზაუტაშვილი ხელმძღვანელობდა.

**გ. გოდერძიშვილი,**
საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი ძალოსნობაში.

• • •

## ტექნიკური შედეგები

### სპარტაკიადის პროგრამით

**გუნდური:** „დინამო“ — 27 ქულა, „სპარტაკი“ — 26, „განთიადი“ — 21.

**პირადი:** **მჩატე წონა.** ო. მენეშიანი — 190 (85 + 105). **ქვემსუბუქი.** ს. ჩიმიშკიანი (ორივე — „დინამო“) — 217,5 (92,5 + 125). **მსუბუქი.** ა. [illegible] („განთიადი“) — 252,5 (110 + 142,5). **ქვესაშუალო.** [illegible] („სპარტაკი“) — 242,5 (102,5 + 140). **საშუალო.** ა. ციბანი („დინამო“) — 292,5 (125 + 167,5). **ქვემძიმე.** ნ. ნახუცრიშვილი („სპარტაკი“) — 300 (130 + 170), **მძიმე.** შ. ლომიძე („დინამო“) — 325 (145 + 180).

### რესპუბლიკის პირადი ჩემპიონატი

**უმჩატესი წონა.** ს. თათევოსიანი (თბილისი, „განთიადი“) — 177,5 (80 + 97,5). **მჩატე.** ა. ოსანაძე (ბათუმი, „კოლმეურნე“) — 202,5 (90 + 112,5). **ქვემსუბუქი.** დ. შანიძე (თბილისი, „განთიადი“) — 230 (100 + 130). **მსუბუქი.** ა. კალდიკოვი (თბილისი, „განთიადი“) — 252,5 (110 + 142,5). **ქვესაშუალო.** ა. ლობჟანიძე (თბილისი, „ბურევესტნიკი“) — 262,5 (120 + 142,5). **საშუალო.** ო. დემუროვი (თბილისი, „განთიადი“) — 305 (135 + 170). **ქვემძიმე.** თ. ძაგოევი (თბილისი, „კოლმეურნე“) — 315 (140 + 175). **მძიმე.** შ. ლომიძე (რუსთავი, „დინამო“) — 325 (145 + 180), **ზემძიმე.** ვ. კაზანჯიანი (თბილისი, „განთიადი“) — 320 (140 + 180).

# კვიცი გვარზე ხტის

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო უკვე მერამდენე წელია საოქტომბრო დღესასწაულის წინ მართავს მოსწავლეთა საშემოდგომო პირად-გუნდურ ტურნირს მძლეოსნობაში, რომლის მიზანია მომავალი სეზონის საკავშირო შეჯიბრებებისთვის საუკეთესოთა შერჩევა. ამჯერადაც ასე იყო, ოღონდ ახლა ტურნირის ორგანიზატორები უფრო შორს — 1974 წლის მოსწავლეთა XIII საკავშირო სპარტაკიადისკენ იხედებიან.

ასპარეზობაში, რომელიც თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე სამ დღეს გაგრძელდა, მოწვეული იყვნენ თბილისის, აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისის, ფოთის, რუსთავის, გორის, დუშეთის, თელავის, ახალციხის, ქარელის, ახმეტის, ლენტეხის, ჩოხატაურის, ბორჯომის, საგარეჯოს, სამტრედიის, მახარაძის, ხაშურის, გარდაბნის, ზუგდიდისა და ონის რაიონების, აგრეთვე, გლდანის № 1 სპორტსკოლა-ინტერნატის გუნდები — იმ ქალაქებისა და რაიონების სპორტსმენები, სადაც „სპორტის დედოფლის“ სპეციალური ჯგუფებია გახსნილი.

ჩამოთვლილი 24 კოლექტივიდან ჩათვლები მიიღეს მხოლოდ თბილისის (176 ქულა), ინტერნატის (77. ინტერნატელები პარალელურ ჩათვლას აძლევდნენ იმ რაიონებს, საიდანაც სასწავლებლად არიან გამოგზავნილი), ახმეტის (60), აფხაზეთის, ქუთაისის (12-12), აჭარის, სამხრეთ ოსეთისა (9-9) და ქარელის (5) გუნდებმა.

— მთელი რიგი რაიონების წარმომადგენლები წარუმატებლად გამოვიდნენ, ჩოხატაურის, ონისა და ბორჯომის რაიონებს კი სპორტსმენები საერთოდ არ გამოუგზავნიათ, — გვიამბობს განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკური სკოლის მძლეოსანთა მთავარი მწვრთნელი რ. ოდიშარია.—ბევრგან ასეა: მწვრთნელები ფიქტიურად აწარმოებენ მეცადინეობის აღრიცხვის ჟურნალებს, პრაქტიკულად კი თითქმის არ მუშაობენ და რესპუბლიკის ნაკრებს წლიდან წლამდე თითო სპორტსმენსაც ვერ უმზადებენ.

ტურნირში ჩათვლას ის სპორტსმენები იძლეოდნენ, რომლებიც, სულ ცოტა, მეორე თანრიგის ნორმატივს შეასრულებდნენ. ეს ბევრ წარმომადგენელს ეძნელა: შემოდგომა იწურება, ბავშვები ინტენსიურად ვეღარ ვარჯიშობენ და შედეგებმა იკლოო, თავს იმართლებდნენ. ამაზე ოდიშარიამ სამართლიანად უპასუხა, რომ საკავშირო შეჯიბრებებში მეორე თანრიგის ნორმატივების შესაბამისი შედეგები უკვე აღარაფერს იძლევა, ამიტომ რესპუბლიკური ტურნირის ეს მოთხოვნები არავის უნდა ეძნელებოდესო.

ერთი სიტყვით, ტურნირმა იმედი მთლიანად ვერ გაამართლა. ჩასათვლელ ნორმატივს მხოლოდ 35 მძლეოსანი შესწვდა (მათგან ოთხი უკონკურსოდ გამოდიოდა). ეს ძალიან ცოტაა, თუ გავიხსენებთ, რომ სტარტზე სულ 359 (მათ შორის, 181 გოგონა) მოსწავლე-მძლეოსანი გამოვიდა.

და მაინც, ამ შეჯიბრებასაც ჰყავდა თავისი ფავორიტები, რომელთაგანაც შემდგომში რესპუბლიკის ნაკრების ღირსეულ შევსებას უნდა ველოდეთ. სპორტის ოსტატების მამია და ლამარა ტუღუშების კარგი გზის გაგრძელებას აპირებს მათი ქალიშვილი, თბილისის მე-60 სკოლის მეცხრეკლასელი მოსწავლე ელეონორა, რომელმაც ბადროს ტყორცნაც პირადი რეკორდით (32,40 მ) მოიგო (ხაშურელ მ. აბულაძეს 10 სმ-ით აჯობა) და ბირთვის კვრაშიც (10,05 მ) პირველობა დაისაკუთრა.

ბადროს მტყორცნელ ჭაბუკთა შეჯიბრებაში 15 წლის თ. ოდიშვილმა 43,45 მ აჩვენა და თითქმის 5,85 მეტრით აჯობა ს. ტურკინს (თბილისი, პირადი), მაგრამ პირველობა ამ უკანასკნელს დარჩა, ვინაიდან ოდიშვილი ... მეათეკლასელია (მეათეკლასელთა შედეგები ჩათვლას არ იძლეოდა, ვინაიდან ეს კონტინგენტი მომავალ საკავშირო სპარტაკიადაში დებულების მიხედვით ვერ იასპარეზებს). ასევე პირადი რეკორდი (54,26 მ) დაამყარა უროს ტყორცნაში თბილისელმა გ. ელიაშვილმა, მაგრამ ისიც იმავე მიზეზით უკონკურსოდ გამოდიოდა. სიგელი მიიღო თბილისელმა ვ. დოლბაშვილმა (თბილისი), რომელიც ელიაშვილს 10,18 მეტრით ჩამორჩა. ახალციხელმა X კლასის მოსწავლემ ს. ხაჩატურიანმა 1500 მეტრზე რბენაში აბსოლუტურად საუკეთესო შედეგს (4.12,4) მიაღწია.

ქების ღირსია ახმეტელი გ. დინგაშვილიც, რომელიც გლდანის № 1 სპორტსკოლა-ინტერნატში სწავლობს. ამ ჭაბუკმა ორ სახეობაში ისე გაიმარჯვა, რომ ჩასათვლელ ნორმატივს გადააჭარბა, სიგრძეზე ხტომაში კი II ადგილი დაიკავა.

კარგია, რომ რესპუბლიკური ტურნირის პრიზიორთა შორის ქარელის რაიონის წარმომადგენელიც გამოჩნდა: ლ. ლურსმანაშვილმა 100 მეტრზე თარჯრბენი მოიგო — 16,5.

ტურნირმა ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ რაიონებში მძლეოსნობის შრომატევადი სახეობების დანერგვა-განვითარებისთვის კვლავ ნაკლებად ზრუნავენ და ფონს გასვლას სპრინტერების ხარჯზე ცდილობენ. ამიტომაც იყო, რომ 100 და 200 მეტრზე რბენის სტარტზე ყველაზე მეტი სპორტსმენი გამოვიდა. 100 მეტრზე რბენაში გამარჯვებისთვის 40 გოგონა და 77 ჭაბუკი იბრძოდა. ეს მაშინ, როცა 100 მეტრზე თარჯრბენში და 5 კილომეტრზე სპორტულ სიარულში მხოლოდ სამ-სამმა მძლეოსანმა იასპარეზა, რვაჭიდში — ხუთმა, ხუთჭიდში — შვიდმა, უროს ტყორცნაში — ოთხმა. შუბის ტყორცნაშიც ოთხი გოგონა ეჯიბრებოდა ერთმანეთს.

დასაფიქრებელი ფაქტი სხვაც ბევრი იყო. საჭიროა ზემდგომმა ორგანოებმა ყველა ზომას მიმართონ, რათა „სპორტის დედოფალს“ რესპუბლიკის ყველა რაიონში სათანადო ყურადღება მიექცეს.

**ო. გელაშვილი.**

• • •

**სურათებზე:** 200 მეტრზე მორბენალი ჭაბუკების ფინალური ასპარეზობის მომენტი; ე. ტუღუში შეჯიბრების დროს.

ავტორის ფოტოები.

• • •

## ტექნიკური შედეგები

(სამეულები დასახელებულია იმ სახეობებში, რომლებშიც პრიზიორებმა მეორე თანრიგის ნორმატივი შეასრულეს).

**გოგონები.** **რბენა. 100 მ.** ტ. ეროხინა (თბილისი) — 12,4, ი. ვედენსკაია (აჭარა) — 12,6, ნ. ლოლაძე (თბილისი) — 12,7; **200 მ.** ეროხინა — 26,5; **400 მ.** ლ. ბაჟაევა (თბილისი, პირადი) — 1.04,4; **800 მ.** გ. რიჟოვა (თბილისი) — 2.34,0. **ესტაფეტა 4×100 მ.** თბილისი — 51,5. **სიმაღლეზე ხტომა.** მ. კიკნაველიძე (თბილისი) — 155 სმ. **სიგრძეზე ხტომა.** ო. ხუბუტია (აფხაზეთი) — 507 სმ. **შუბის ტყორცნა.** ჯ. ხოსიაური (გლდანის № 1 სკოლა-ინტერნატი, ახმეტა) — 41,52, ვ. გაგლოევა (სამხრეთ ოსეთი) — 38,06. **ხუთჭიდი.** ე. კალაშნიკოვა (აფხაზეთი) — 2885.

**ჭაბუკები.** **რბენა. 100 მ.** გ. დინგაშვილი (გლდანის № 1 სკოლა-ინტერნატი, ახმეტა) — 11,3, ს. მაევსკი (თბილისი) — 11,4, ვ. ხახვიაშვილი (თბილისი, პირადი) — 11,4; **200 მ.** ხახვიაშვილი — 23,5; **400 მ.** ე. მკრტჩიანი — 53,5; **800 მ.** ა. ნეკრასოვი — 2.07,3; **1500 მ.** ვ. მინაევი — 4.17,2, ნეკრასოვი (ყველა — თბილისი) — 4.17,7, ვ. ფიოდოროვი (თბილისი, პირადი) — 4.21,6; **3000 მ.** ვ. ტასოევი (სამხრეთ ოსეთი) — 9.38,1. **ესტაფეტა 4×100 მ.** თბილისი — 45,7. **თარჯრბენი. 110 მ.** დინგაშვილი — 16,0; **400 მ.** ვ. მაჩაბელი (თბილისი, პირადი) — 1.04,2. **სიმაღლეზე ხტომა.** თ. ნიკოლაიშვილი — 175. **სიგრძეზე ხტომა.** ე. თათარაშვილი (ორივე — თბილისი) — 646. **სამხტომი.** რ. აბზიანიძე (სამტრედია) — 12,09. **შუბის ტყორცნა.** ა. თედეევი (სამხრეთ ოსეთი) — 51,40. **ბირთვის კვრა.** ნ. დონღუზაშვილი (თბილისი, პირადი) — 12.37. **5 კმ-ზე სპორტული სიარული.** გ. ჰეიშვილი (გლდანის № 1 სკოლა-ინტერნატი, ქუთაისი) — 24.58,0. **რვაჭიდი.** გ. ბურკაშვილი (გლდანის № 1 სკოლა-ინტერნატი, ახმეტა) — 4388.





# ფოცხოელები კარგად ისროდნენ

ცხაკაიაში დამთავრდა საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი რაიონული შეჯიბრება ტყვიის სროლაში. ტურნირში ჩვიდმეტი გუნდის 85 სპორტსმენი მონაწილეობდა.

საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებს შორის I ადგილი დაიკავა გეჯეთის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ნაკრებმა.

საკოლმეურნეო ორგანიზაციებს შორის გაიმარჯვა ფოცხოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობის გუნდმა, საწარმო-დაწესებულებების კოლექტივებს შორის კი ყველას აჯობეს საქვაჭრობის ცხაკაიას განყოფილების მსროლელებმა.

პირად ჩათვლაში რაიონის ჩემპიონი გახდა ფოცხოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წარმომადგენელი ბ. ჭაავა. II ადგილზეა ტეხურის საბჭოთა მეურნეობის თანამშრომელი კ. მგალობლიშვილი, III — ფოცხოს კოლმეურნეობის წევრი რ. კუჭავა.

**ე. გუგუნავა.**
**(ჩვენი კორ.).**

ცხაკაია.



# მორიგი ტირაჟი

10 ნოემბერს რიგაში გაიმართა „სპორტლოტოს“ მორიგი, 31-ე ტირაჟი. აი, იღბლიანი ნომრებიც: 2 (ავტოსპორტი), 17 (მხატვრული ტანვარჯიში), 30 (აფროსნობა), 32 (წყალში ხტომა), 38 (მშვილდოსნობა), 45 (ფეხბურთი).

„სპორტლოტოს“ განვლილი ტირაჟები საქართველოს მცხოვრებთათვის იღბლიანი გამოდგა. მაგალითად, 29-ე ტირაჟში ერთბაშად სამმა კაცმა მოიგო მაქსიმალური თანხა. ესენი არიან ზუგდიდელი ნ. მაქაცარია, ხობელი ჯ. ბერაია და ლანჩხუთელი ე. დარჩია. თითოეულმა მათგანმა 5000 მანეთი მიიღო.

„სპორტლოტოს“ 32-ე ტირაჟი 20 ნოემბერს გაიმართება კურსკში.

**ი. ლოპატკინი,**
„სპორტლოტოს“ საქართველოს ზონალური სამმართველოს ინსტრუქტორი.

• • •

**სურათზე:** საქართველოს ერთ-ერთი „რეკორდსმენი“, ლანჩხუთელი ზეინკალი ე. დარჩია.

ავტორის ფოტო.

## თბილისელ კალათბურთელთა გამარჯვება

ბუქარესტი, 11 ნოემბერი. „დინამოს“ სპორტულ დარბაზში დიდი ინტერესი გამოიწვია თბილისის „დინამოს“ კალათბურთელ ვაჟთა გუნდის გამოსვლამ (ეს იყო სტუმართა მესამე მატჩი რუმინეთში). თბილისელთა მეტოქე ამჯერად რუმინეთის დედაქალაქის „ვოინცა“ იყო.

მასპინძლები მოედანზე გამარჯვების მტკიცე რწმენით გამოვიდნენ. პირველმა ტაიმმა თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა და გუნდები დასასვენებლად წავიდნენ, როცა ანგარიში იყო 43:40 რუმინელთა სასარგებლოდ.

შესვენების შემდეგ თბილისელებმა ხელთ იგდეს ინიციატივა. ისინი საუცხოოდ იყენებდნენ მეტოქის შეცდომებს, სწრაფად გადადიოდნენ კონტრიერიშზე და ზუსტადაც ტყორცნიდნენ კალათში. საბოლოოდ, მათ დამსახურებულად გაიმარჯვეს — 86:69.

# ვფურცლავთ სპორტულ გაზეთებს

**ჭადრაკში მსოფლიო პირველობაზე უკანასკნელ მატჩთან დაკავშირებით საზღვარგარეთისა და საკავშირო სპორტულ პრესაში არაერთი საყურადღებო მასალა გამოქვეყნდა. მათგან ზოგიერთი დღესაც არაა ინტერესმოკლებული.**

### „აკრძალული ილეთი“ მატჩამდე

„ჭადრაკში მე ყველაზე უფრო ვაფასებ მეტოქის მორალურად დათრგუნვისა და მოსპობის შესაძლებლობას. მომწონს, როცა იგი შეშინებული მიყურებს, როგორც თაგვი კატას!..

... ყველას, ვინც ოდნავ მაინც ერკვევა ჭადრაკში, ესმის, რომ მე ფაქტიურად უკვე ათი წელია მსოფლიო ჩემპიონი ვარ, თუმცა ამ წოდებას არ ვატარებ...

...პეტროსიანთან გამარჯვების შემდეგ ვაპირებდი სპასკისთვის დეპეშა გამეგზავნა და მიმელოცა, რომ მას ბოლოს და ბოლოს პატივი ხვდა მატჩში შემხვედროდა“.

ეს ყველაფერი რ. ფიშერმა თქვა ჯერ კიდევ რეიკიავიკის მატჩის დაწყებამდე. თქმა არ უნდა, მან „აკრძალული ილეთი“ გამოიყენა, რომელიც არაფერს მატებს.

### არის სხვა ფიშერიც

ბულგარელი დიდოსტატი მ. ბობოცოვი წერს:

„როდესაც ფიშერს საჭადრაკო დაფასთან ხვდები, შენს წინაშეა უაღრესად სიმპათიური ახალგაზრდა კაცი, მეტად კორექტული და ტაქტიანი. მასთან ნათამაშევი პარტიის გარჩევა ხომ მთელი სიამოვნებაა! ამასთან, იგი მეტად თავმდაბლად იქცევა, პოზიციის შეფასებისას უკიდურეს ობიექტურობას იჩენს და მხოლოდ იმისკენ მიისწრაფვის, რომ საჭადრაკო ჭეშმარიტება დაადგინოს. ჭადრაკი მას თავდავიწყებით უყვარს“.

### გვიან მოაგონდა

1952 წლის ივლისის ერთ-ერთ დღეს ნიუ-იორკში, იუგოსლავიის გაზეთ „ბორბას“ საკორესპონდენტო პუნქტში, ახალგაზრდა ქალი მივიდა, რომელსაც 9 წლის ბიჭი ახლდა:

„მე რეგინა ფიშერი ვარ, — მიმართა მან პუნქტის გამგე პავლოვიჩს, — ეს კი ჩემი ვაჟი ბობია. მას დიდი საჭადრაკო ნიჭი აქვს. ბრუკლინში ახლავე უგებს ყველა ბიჭს და ბევრ უფროსსაც, მაგრამ რა ვუყო, არ ვიცი. ჭადრაკი აქ არავის აინტერესებს. იუგოსლავიაში, როგორც გავიგე, ამ თამაშს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. იქნებ დამეხმაროთ, რომ ბავშვი იქ სასწავლებლად გავგზავნო?“

თავისი საქმეებით დატვირთულმა ჟურნალისტმა ქალი ზრდილობიანად მოიშორა თავიდან, მაგრამ 6 წლის შემდეგ გაახსენდა ეს ვიზიტი, როცა უკვე მოზრდილი ბიჭი პორტოროჟის საზონათშორისო ტურნირის მონაწილეთა შორის ნახა.

### „თუ მატჩი წავაგე“

სპასკისთან მატჩის დაწყებამდე იუგოსლაველმა დიდოსტატმა ს. გლიგორიჩმა ფიშერს ჰკითხა: როგორ მოიქცევი თუ ფინალური შეხვედრა წააგეო?

„ამაზე ფიქრიც არ მინდა, — უპასუხა პრეტენდენტმა, — მაგრამ თუ ეს მაინცდამაინც მოხდება, რა ვუყოთ, ყველაფერს თავიდან დავიწყებ“.

### 10 ივლისს კორესპონდენტმა გადასცა...

10 ივლისს ასოშიეიტედ პრესის კორესპონდენტმა სტივენს ბრიონინგმა რეიკიავიკიდან თავის სააგენტოს გადასცა:

„ბობი ფიშერს, მკვლელის ინსტინქტის მქონე მოჭადრაკეს, არ მოეწონა შეჯიბრების ადგილი, არ დააკმაყოფილა ფინანსურმა პირობებმა, აშინებდა იაპონელებთან და ჩინელებთან ერთ სასტუმროში ცხოვრების პერსპექტივა. მას არ მოსწონდა მატჩის ჩასატარებლად გამოყოფილი შენობა, განათება, დაფა და მაგიდა, მოითხოვა პოლიციელთა ესკორტი, ვაშლისა და ფორთოხლის წვენის ხელშეუხებელი მარაგი ორი თვისთვის. ფიშერმა მოითხოვა, რომ მისთვის გამოეყოთ დასავლეთგერმანული სპორტული მანქანა ავტომატური ტრანსმისიით. ფიშერმა მიაღწია, რომ მისი მოთხოვნების დიდი ნაწილი შესრულდა და ხვალ, საღამოს 5 საათზე, უნდა მიატოვოს თავისი პირქუში განმარტოების ადგილი, რათა საჭადრაკო დაფასთან შეხვდეს მსოფლიო ჩემპიონ ბორის სპასკის საბჭოთა კავშირიდან“.

### მატჩი დაიწყო, პრეზიდენტი დამშვიდდა

მატჩი დაიწყო თუ არა, ისლანდიის საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტი ტარარინსონი დამშვიდდა.

მოგვიანებით მან ჟურნალისტებს განუცხადა:

„ბუნებით ოპტიმისტი ვარ და ვიმედოვნებ, რომ ყველაფერი კეთილად დამთავრდება. მაგრამ ამასთანავე გამუდმებით განვიცდი სინდისის ქენჯნას. ხუმრობა ხომ არაა, ასეთი პასუხისმგებლობა იკისრო ქვეყნის წინაშე. ვთქვათ, მატჩი ჩაიშალა, ეს ხომ ჩვენთვის ეროვნული უბედურება იქნება“.

### ასე იწერებოდა პროტესტი

როგორც ცნობილია, ფიშერმა არაერთი პროტესტით მიმართა შეჯიბრების მთავარ მსაჯ ლ. შმიდს. აი, ერთი მაგალითი:

„სანამდე ისარგებლებენ შეჯიბრების ორგანიზატორები ჩემი მოთმინებით? მე დამარწმუნეს, რომ ტელე- და კინოკამერები თვალშეუვლები და უხმო, შეუმჩნეველი იქნებოდა... ორგანიზატორების პატიოსნება და კეთილსინდისიერება — აი, ერთადერთი, რაც შექმნილ სიტუაციაში არ ჩანს“.

პროტესტი დაწერილი იყო რესტორნის საანგარიშო ქაღალდების უკანა მხარეზე. ამის გამო „ბორბას“ კორესპონდენტმა ირონიულად განაცხადა, რომ ბოლო ხუთი წლის მანძილზე პრეტენდენტის მანერები დაიხვეწა. საქმე ისაა, რომ 1967 წელს, სუსის საზონათშორისო ტურნირის დროს, ფიშერი პროტესტებს უმეტესად ტუალეტის ქაღალდზე წერდა.

ლონდონის „ტაიმსის“ რეპორტიორი ტ. ჯონსი წერდა: „როდესაც ბორის სპასკის წააკითხეს ფიშერის პროტესტი, მის სახეზე დაღლილობისა და სევდის კვალი გამოჩნდა. გაეცნო თუ არა დოკუმენტს, მან თქვა: „აქ, რაც გნებავთ, ყველაფერია, ჭადრაკის გარდა. ოჰ, როგორ მომაბეზრა თავი ამ ცირკმა!“. იგრძნობა, რომ მუდმივი ნერვული დაძაბულობა, რომელშიც ფიშერი ამყოფებს ყველას, ჩემპიონზეც იწყებს მოქმედებას“.

### სხვადასხვა განწყობილება

ჩემპიონი და პრეტენდენტი მატჩის სათამაშოდ სხვადასხვა განწყობილებით ჩავიდნენ.

„იმ დროს, როცა სპასკი, მისი საკუთარი განცხადებით, „საჭადრაკო ზეიმზე“ მიდიოდა, ფიშერმა ჯერ კიდევ მატჩამდე გააკეთა ყველაფერი, რათა ეს ზეიმი ჩაეშალა, — წერდა „ინტერნეიშნლ ჰერალდ ტრიბიუნის“ მიმომხილველი უ. რუტი, — სპასკის, რომელსაც თვით ფიშერი უწოდებს „ჯენტლმენსა და სპორტსმენს“, თავისი ნიჭის მთლიანად გამოსაჩენად კეთილმოსურნეობისა და ამხანაგობის ატმოსფერო სჭირდება, ფიშერი კი ტიბალტის მსგავსად („რომეო და ჯულიეტადან“) ომის სულით იკვებება. იგი ქმნის შხამიანი ისტერიის ატმოსფეროს და ამ ატმოსფეროში ისე გრძნობს თავს, როგორც თევზი წყალში. მას სჭირდება „მტრები“, „შეთქმულებები“ და, თუ ეს არ არის, თავად ქმნის“.

### სიმშვიდეც ამას ჰქვია!

„მეოთხე პარტიიდან საკმაოდ მშვიდად ვცხოვრობ“, — განაცხადა დანიის გაზეთ „ინფორმაშონის“ კორესპონდენტთან საუბარში ლ. შმიდმა. არა, პროტესტები მთლიანად ვერ მოსპეს, მაგრამ ახლა მათ უფრო სურვილის სახე ჰქონდათ, ვიდრე ულტიმატუმისა. მეოთხე პარტიის შემდეგ ფიშერმა ორგანიზატორებს წარუდგინა 13 ახალი მოთხოვნა, მეხუთის შემდეგ — 7, მეექვსის შემდეგ — 11, მეშვიდის შემდეგ, როცა მოგების შესაძლებლობა დაკარგა, — 20.

პრეტენდენტი მოითხოვდა, რომ მისთვის ეჩვენებინათ კინოქრონიკის ყველა კადრი, ისლანდიის პრესის ყველა შესაბამისი მასალა (ინგლისურად გადათარგმნილი), გაეცნოთ მატჩის გამშუქებელი ყველა ისლანდიელი და უცხოელი ჟურნალისტის სია, აგრეთვე იმ დიდოსტატებისა და საერთაშორისო ოსტატების გვარები, რომლებიც რეიკიავიკში იმყოფებოდნენ. მან მოინდომა საუზმე, სადილი და ვახშამი არა ერთ, არამედ რამდენიმე რესტორანში და ამასთან დაკავშირებით დღიური ფულის გადიდება 10 დოლარით. მან მოითხოვა ჩოგბურთის დახურული კორტი მიეცათ და საცურაო აუზის კარი უბრალო მოკვდავთათვის არ გაეღოთ.

ეს უკანასკნელი მოთხოვნა ფიშერმა არაერთგზის გაიმეორა და ზრდილობიანი, მაგრამ მტკიცე უარი მიიღო („თქვენ ჩვენი ძვირფასი სტუმარი ბრძანდებით, მისტერ ფიშერ, მაგრამ ერთადერთი სტუმარი როდი ხართ“, — სწერდა ამერიკელს სასტუმროს დირექტორი).

### მარკიზი ლაქია ეგონა

მეხუთე პარტიის შემდეგ აშშ-ს საჭადრაკო ფედერაციის დირექტორ-განმკარგულებელმა ე. ედმონდსონმა ჟურნალისტებს განუცხადა: „ბობი სავსებით კმაყოფილია რეიკიავიკში თამაშის პირობებით“.

ამასთან დაკავშირებით „ნიუ-იორკ ტაიმსი“ წერდა:

„დიპლომატიური თვალსაზრისით, ეს განცხადება უაღრესად დროულია, ვინაიდან ისლანდიაში კაცი არ დარჩენილა, ასე თუ ისე ფიშერის მიერ შეურაცხყოფილი რომ არ იყოს. ამ ხვედრს ვერც ვინმე ესპანელი მარკიზი გადაურჩა, რომელიც მისი პრიალა ტანისამოსის გამო ფიშერს ლაქია ეგონა. ბობიმ, რომელიც ამ დროს ჩინებულ ხასიათზე იყო, კასტილიის არისტოკრატიული გვარის ჩამომავალს მხარზე ხელი მოუთათუნა და უდარდელად უთხრა: „მომიხმინე, მეგობარო, მე ახლა აბაზანის მისაღებად მივდივარ და საპონი მომიტანე“.

(გაგრძელება იქნება)

## მეორე მატჩიც მოიგეს

სტამბოლი, 10 ნოემბერი. მოსკოვის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა გუნდმა მეორე ამხანაგური მატჩი ჩაატარა თურქეთში, ამჯერად ადგილობრივ „გალათასარაის“ შეხვდა. ტორპედოელებმა ეს თამაშიც მოიგეს. შეხვედრის ანგარიშია 4:0.



**უმაღლესი ლიგა**

## ბოლო შვიდი თამაში

წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატის ბოლო მატჩი მოსკოვში 12 ნოემბერს გაიმართება, როცა ერთმანეთს ადგილობრივი „დინამო“ და ერევნის „არარატი“ შეხვდებიან. იმ დღეს ჩატარდება კიდევ ორი მატჩი: „კარპატი“ — „დინამო“ (კიევი) და „დნეპრი“ — „სპარტაკი“.

15 ნოემბერს მოეწყობა პირველი წრის მატჩი: „ნეფთჩი“ — „სპარტაკი“. სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, ეს თამაში დნეპროპეტროვსკში გაიმართება. 16 ნოემბერს კიევის „დინამო“ როსტოვის არმიელებს უმასპინძლებს, 18 ნოემბერს კი „ზარია“ — სპარტაკელებს.

21 ნოემბერს ჩატარდება ჩემპიონატის დასკვნითი მატჩი: „დინამო“ (კიევი) — „ზარია“.

## ორი საგზურისთვის

„ა“ კლასის II ლიგის ზონებში გამარჯვებული გუნდების ფინალური ტურნირი, რომელიც ამჟამად სოჭში მიმდინარეობს, I ლიგის ორ საგზურს გასცემს საგაისოდ. ცხადია, ბრძოლა ამ უფლებისთვის უაღრესად მძაფრად და საინტერესოდ მიმდინარეობს.

I ტურის ორი მატჩი მინიმალური ანგარიშით დამთავრდა: ლიპეცკის „მეტალურგმა“ მოუგო ბლაგოვეშჩენსკის „ამურს“ — 1:0, ხოლო გროზნოს „ტერეკმა“ ასეთივე ანგარიშით დაამარცხა რიგის „დაუგავა“. თავი გამოიჩინა კემეროვოს „კუზბასმა“, რომელმაც სამჯერ აიღო სარატოვის „სოკოლის“ კარი, თვითონ კი მხოლოდ ერთი ბურთი გაუშვა.

გაცილებით უხვგოლიანი გამოდგა II ტურის მატჩები: ფეხბურთელებმა ათჯერ შეარხიეს მეტოქის კარის ბადე. კუზბასელებმა სატურნირო ცხრილში მეორე გამარჯვება ჩაიწერეს (3:2), ამჯერად გროზნოს ფეხბურთელებთან წარმატებისთვის. 2 ქულა აიღო ლიპეცკის „მეტალურგმაც“. მან დაამარცხა სარატოვის „სოკოლი“ — 2:1, რიგის „დაუგავისა“ და ბლაგოვეშჩენსკის „ამურის“ შეხვედრის შედეგია 2:0.

სატურნირო ცხრილი 2 ტურის შემდეგ:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კუზბასი“ | 2 | 2 | 0 | 0 | 6—3 | 4 |
| „მეტალურგი“ | 2 | 2 | 0 | 0 | 3—1 | 4 |
| „დაუგავა“ | 2 | 1 | 0 | 1 | 2—1 | 2 |
| „ტერეკი“ | 2 | 1 | 0 | 1 | 3—3 | 2 |
| „სოკოლი“ | 2 | 0 | 0 | 2 | 2—5 | 0 |
| „ამური“ | 2 | 0 | 0 | 2 | 0—3 | 0 |

**საფეხბურთო კალეიდოსკოპი**

### ზონალური შეჯიბრება

„რუბეროიდი“ (გარდაბანი) — „ავტომობილისტი“ (ჩაქვი) 2:1, „ყინწვისი“ (ქარელი) — „ლიახვი“ (გორის რაიონი) 3:0, „ფეიქარი“ (ქუთაისი) — „ლიახვი“ (გორის რაიონი) 2:0, „ავტომობილისტი“ (ჩაქვი) — „ფეიქარი“ (ქუთაისი) 2:0, ერედვის საბჭოთა მეურნეობა (ცხინვალი) — „ყინწვისი“ (ქარელი) 1:3.

„რუბეროიდს“ მოგება ჩაეთვალა ერედვის საბჭოთა მეურნეობის გუნდთან.

## მადრიდის „რეალი“ მეოთხედფინალისტებს შეუერთდა

მადრიდი, 9 ნოემბერი. დღეს აქ გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების განმეორებითი მერვედფინალური მატჩი — ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „რეალისა“ და პიტეშტის „არჯესის“ (რუმინეთი) ფეხბურთელთა გუნდები.

როგორც ცნობილია, რუმინეთში გამართულ პირველ მატჩში მასპინძლებმა იმარჯვეს — 2:1. ამჯერადაც მასპინძლებმა — ესპანელებმა მიაღწიეს წარმატებას, მაგრამ მოგება უფრო დამაჯერებელი იყო — 3:1.

ამგვარად, მადრიდის „რეალი“ გათამაშების მეოთხედფინალში გავიდა — იგი შეუერთდა მიუნჰენის „ბაიერნის“, ინგლისის „დერბი ქაუნთის“, ტურინის „იუვენტუსის“, ბუდაპეშტის „უიპეშტ დოჟას“, კიევის „დინამოსა“ და ტრნავის „სპარტაკის“ კომპანიას.

მერვე მეოთხედფინალისტს 29 ნოემბრის მატჩი გამოავლენს ამსტერდამში, სადაც ერთმანეთს შეხვდებიან ადგილობრივი „აიაქსი“ და სოფიის ცსკა-„სეპტემვრიისკო ზნამე“.

## „არარატის“ ახალი მეტოქე

ციურიხი, 10 ნოემბერი. დასავლეთ გერმანიის „კაიზერსლაუტერნი“ ერევნის „არარატის“ ფეხბურთელთა მეტოქე იქნება უეფა-ს თასის გათამაშების მერვედფინალურ მატჩებში. ასე „გადაწყვიტა“ საფეხბურთო ასოციაციების ევროპული კავშირის შტაბ-ბინაში დღეს გამართულმა წილისყრამ. პირველი შეხვედრა 29 ნოემბერს გაიმართება ერევანში, საპასუხო — 13 დეკემბერს დასავლეთ გერმანიაში.

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშებათა მეოთხედფინალური მატჩების წილისყრა 1973 წლის 14 თებერვალს მოეწყობა.

## მიუნჰენის ოლიმპიადის კიდევ ერთი რეკორდი

1972 წლის საზაფხულო ოლიმპიადის აქამდე აღნუსხულ რეკორდებს კიდევ ერთი დაემატა: მიუნხენის თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა გამოაცხადა, რომ შეჯიბრებებს 4400000 მაყურებელი დაესწრო. ამდენი მაყურებელი არც ერთ ოლიმპიადას არ ახსოვს. ეს ნიშნავს, რომ ყოველი ათი ადგილიდან საშუალოდ ცხრა იყო დაკავებული. თამაშების მომწყობებმა ბილეთების გაყიდვის შედეგად 53589277 მარკა მიიღეს.

შესადარებლად რამდენიმე ციფრს მოვიყვანთ: მეხიკოში ბილეთების 40,7 პროცენტი გაიყიდა, რომში კი სულ 87 პროცენტი. ყოველივე ზემოაღნიშნული მთელი მსოფლიოს სპორტის მოყვარულთა შორის ოლიმპიური თამაშების პოპულარობის ზრდაზე მეტყველებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ემერსონ ფიტიპალდის უჩვეულო კარიერა

ემერსონ ფიტიპალდის კბილებით (ამ კბილების გამო მას ბრაზილიაში თაგვს ეძახიან) ცნობილ ბრაზილიელ კინომსახიობს ს. გონზალესს ადარებენ. ფიტიპალდი ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ პიროვნებად იქცა თავის ქვეყანაში. დიდებით ახლა იგი თვით პელესა და ფაუსტო კოპის გაუტოლდება. მანუელ ფანხიოს შემდეგ, 15 წლის თავზე, სამხრეთ ამერიკა ისევ ჩადგა საავტომობილო რბოლათა პირველ რიგებში: ბრაზილიელი წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონია და ამ ტიტულს ელვისებური კარიერის სულ ორი წლის მანძილზე მიაღწია.

ემერსონ ფიტიპალდი მამით იტალიური წარმოშობისაა, დედის მხრიდან კი პოლონელი. ახალგაზრდა მრბოლელმა სერიოზულად გადაწყვიტა ლეგენდარული მანუელ ფანხიოს კარიერა გაიმეოროს. იგი ჯერ კიდევ ჭაბუკობაში ოცნებობდა ინდიანოპოლისის და მონცის, ბრანდს ჰეტჩისა და დაიტონის რბოლებზე, მაგრამ იძულებული იყო გო-კარტებით შეჯიბრებას დასჯერებოდა. 1964 წლიდან იგი მოტორბოლაში ჩაება, მერე კი თავის ძმასთან — ვილსონთან ერთად ინგლისს მიაშურა „დიდ პრიზებში" ბედის საძიებლად. 1970 წელს იგი, როგორც იქნა, მიუჯდა „ლოტუსის" საჭეს და „I ფორმულის" ავტორბოლის სტარტზე გამოვიდა.

ორი წლის მანძილზე ემერსონმა თავისი მეუღლის — ელეგანტური, მშვენიერი მარია ელენას თანხლებით მსოფლიოს ყველა ავტოდრომი შემოიარა. მას ყველგან თან ახლავს ხმაურიანი რაზმი სამხრეთამერიკელი ჟურნალისტებისა და რადიოკომენტატორებისა, რომლებიც თავიანთი კერპის მორიგ წარმატებას ელიან.

პირველი გამარჯვება „I ფორმულის" ასპარეზობაში ფიტიპალდიმ 1970 წელს მოიპოვა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც „დიდი პრიზი" მოიგო და მსოფლიო ჩემპიონატში X ადგილი დაიკავა. დასაწყისისთვის არა უშავდა. შარშან ემერსონმა რამდენიმე საპრიზო ადგილი მოიპოვა და, თუმცა არც ერთი რბოლა არ მოუგია, მსოფლიო კვალიფიკაციით მეექვსე იყო. წლეულს იგი გამოდის ახალი მანქანით, რომელსაც ცნობილმა სპეციალისტმა კოლინ ჩეპმენმა დიდი ენერგია შეალია. ფიტიპალდიმ იგრძნო, რომ შეეძლო გაემეორებინა წარმატება თავისი ყოფილი თანაგუნდელის ი. რინდტისა, რომელიც შარშან მსოფლიო ჩემპიონი გახდა. როგორც ცნობილია, რინდტი მონცაში დაიღუპა ისე, რომ ამ საპატიო ტიტულის მოპოვება ვერც კი იხეირა.

სეზონის პირველ რბოლაში — არგენტინის „დიდი პრიზის" გათამაშებაში ფიტიპალდი იძულებული შეიქნა ტრასა მიეტოვებინა. მაგრამ შემდეგ იგი მეორე იყო სამხრეთ აფრიკაში, პირველი — ესპანეთში, მესამე — მონაკოში, პირველი — ბელგიაში, მეორე — საფრანგეთში, პირველი — დიდ ბრიტანეთში. გფრ-ში ფიტიპალდიმ დისტანცია მიატოვა, მაგრამ მერე ზედიზედ მოიგო ორი „დიდი პრიზი" — ავსტრიასა და იტალიაში. 25 წლის ფიტიპალდი ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიო ჩემპიონია „I ფორმულის" ავტორბოლაში. შოტლანდიელი ჯეკი სტიუარტი ბრაზილიელს ვეღარ დაეწია. 33 წლის მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა სეზონის ბოლო ორი რბოლა მოიგო და წლევანდელ კლასიფიკაციაში მეორე ადგილზე აღმოჩნდა თორმეტივე „დიდი პრიზის" შედეგების მიხედვით.

სიხარულისგან თავგზადაკარგულმა ბრაზილიელებმა კინაღამ აიკლეს მთელი ავტოდრომი და პრესის დარბაზი მონცში იტალიის „დიდ პრიზზე" ფიტიპალდის გამარჯვების შემდეგ (იმ დღეს იგი ქულებით მიუწვდომელი გახდა მსოფლიო ჩემპიონატში). ბრაზილიელები ზეიმობდნენ, ბევრი კი ამ დროს იჯდა და მარჩიელობდა, რა ბედნიერმა შემთხვევამ შეუწყო ხელი ფიტიპალდის გამარჯვებას.

თითქოს საათში 300 კილომეტრის სისწრაფით მქროლი ოცდაორი „ყუმბარის" კარუსელიდან ცოცხლად თავის დაღწევა ყველასთვის, უკლებლივ ყველასთვის, ბედის წყალობა არ იყოს.

**ეუჯენიო ბომბონი.**
იტალიურიდან თარგმნა
**მ. ზარამიძე.**

გაზეთ „მორნინგ სტარის" (ლონდონი) მიხედვით



ეს სურათი შარშან ჰელსინკში, ევროპის მძლეოსანთა X ჩემპიონატის დროსაა გადაღებული. 5 ათას და 10 ათას მეტრზე რბენაში გამარჯვებულის — ორი ოქროს მედლის მფლობელის იუჰა ვიაიტიაინენის სიხარულს საზღვარი არა აქვს. თქვენ ხედავთ ამ შესანიშნავ სტაიერს 5000-მეტრიან დისტანციაზე გამარჯვების შემდეგ, როცა გახარებულმა მაყურებლებმა თანამემამულეს ყვავილები დააყარეს (სპორტსმენს პირში ორი ვარდი უდევს).

როგორც ცნობილია, ი. ვიაიტიაინენი მიუნხენის ოლიმპიურ სარბიელზე ტრამვის გამო არ გამოსულა.

ჰ. ლინდროოსის ფოტო.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### 15 ნოემბერს „ჰემპდენ პარკის" სტადიონზე

შოტლანდიის ეროვნული გუნდის მწვრთნელს ტომი დოჰერტის განზრახული აქვს რადაც უნდა დაუჯდეს თავისი ნაკრები მიუნხენის 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატის 16 ფინალისტში მოახვედროს. სწორედ ამიტომ შოტლანდიელი ფეხბურთელები გულმოდგინედ ემზადებიან შესარჩევი მატჩების მაღალ დონეზე ჩასატარებლად.

ერთ-ერთი ასეთი თამაში 15 ნოემბერს გაიმართება გლაზგოს 134-ათასიან „ჰემპდენ პარკის" სტადიონზე. შოტლანდიელები დანიის ნაკრებს შეხვდებიან (ამ გუნდების პირველი მატჩი შოტლანდიელებმა მოიგეს — 4:1).

ტ. დოჰერტიმ ნაკრებში რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი შეიყვანა. აი, ნაკრების 22 წევრი: კლარკი („აბერდინი"), უილსონი („არსენალი"), ჰარვეი („ლიდს იუნაიტედი"), ბრაუნლი („ჰიბერნიენი"), მეი („სელტიკი"), დონაჩი („მანჩესტერ სიტი"), ფორსაითი („პარტიკ თისტლი"), კოლჰაუნი („შეფილდ იუნაიტედი"), ბუჩენი („მანჩესტერ იუნაიტედი"), სტენტონი („ჰიბერნიენი"), ბრემნერი („ლიდს იუნაიტედი"), გრეჰემი („არსენალი"), მორგანი („მანჩესტერ იუნაიტედი"), ჰერტფორდი („ვესტ ბრომვიჩ ალბიონი"), კარი („კოვენტრი სიტი"), ლორიმერი („ლიდს იუნაიტედი"), ჰარპერი („აბერდინი"), მაკარი („სელტიკი"), გრეი („ლიდს იუნაიტედი"), ბოუნი („ნორვიჩ სიტი"), დალგლიში („სელტიკი"), ჟორდანი („ლიდს იუნაიტედი").

### განსაკუთრებული მადლობა ბავშვებს

ექიმებმა ჯერ კიდევ არ იციან რა ბედი ელავა გორდონ ბენქსს — ოპერაცია თუ არა თვალი... მაგრამ ბენქსმა გახაცხადა, თვალი თუნდაც არ ამოირიონ, ფეხბურთს არ გამოვეთხოვები, მწვრთნელობას დავიწყებ. ასეა თუ ისე, ინგლისის ნაკრებისა და „სტოკ-სიტის" 34 წლის მეკარე გულისფანცქალით ელის პასუხს, რომელმაც მისი მომავალი ბედი უნდა გადაწყვიტოს.

ბენქსი ამჟამად შედარებით უკეთ გრძნობს თავს და უკვე პირველი ინტერვიუც კი მისცა ჟურნალისტებს. „ახლა ჩემს მომავალზე სრულიადაც არ ვფიქრობ, — თქვა მან. — თუ ყველაფერი ბედნიერად დამთავრდა, ფიქრის დრო მექნება. მაგრამ, რასაკვირველია, ჩემი ყველაზე დიდი სურვილია თვალი მომირჩეს და ისევ დავიწყო თამაში. ეს არის ჩემი ერთადერთი იმედი".

ბენქსს სახეზეც დარჩა ავარიის დაღი.

ცნობილმა მეკარემ გულთბილი მადლობა გადაუხადა ჟურნალ-გაზეთების სააგენტოებს, რადიოსა და ტელევიზიის კორესპონდენტებს, რომლებიც ხშირად აკითხავენ ჰოსპიტალში. მისი ოთახი სავსეა მსოფლიოს ყველა კუთხიდან მოსული წერილებით — ყოველი მათგანი კეთილი სურვილებითაა გამსჭვალული. მოღიმარმა ბენქსმა თქვა: „ახლა ბევრად უკეთ ვგრძნობ თავს. დიდი მადლობა".

...ავარია მოხდა უაიტმორში 22 ოქტომბერს, როცა ბენქსის ავტომანქანა სატვირთო ვაგონს დაეჯახა. დაშავებული თვალი „არაკომფორტული" არ აღმოჩნდა: მას ტელევიზორის ცქერის უფლებას აძლევენ. ეს კია, რომ ბენქსი მხოლოდ სპორტულ გადაცემებს უყურებს, განსაკუთრებით კი, ცხადია, ფეხბურთს.

ავარიის შემდეგ გორდონმა 5000-მდე წერილი მიიღო სხვადასხვა ქვეყნის გულშემატკივრებისგან, კლუბებისგან, მოთამაშეებისგან, მეგობრებისგან და ბავშვებისგან. ბენქსი დიდ მადლობას უთვლის ყველას, ვინც წერილები, ყვავილები და საჩუქრები გაუგზავნა, განსაკუთრებული მადლიერებით კი ბავშვებს იხსენიებს.

„გენიალური ხალხია. თავი შეიწუხეს, წერილის დასაწერად დრო მონახეს და მართლაც უამრავი გულთბილი სიტყვა მომწერეს. ყოველივე ეს მათ ჩემს გასამხნევებლად გააკეთეს. მათ მართლაც დიდი საქმე გამიკეთეს".

ზოგიერთი ბენქსს სწერდა: მსგავს ავარიაში ჩვენც ვიყავით, მაგრამ საშიში არაფერია, თვალები უკვე დიდი ხანია მოგვირჩა და მშვენივრადაც ვხედავთო.

„არ ვიცი რით გადავუხადო ამ კეთილ ხალხს მადლობა იმ გულთბილობისთვის, რაც ჩემს მიმართ გამოიჩინეს. მსურს გულწრფელი, ულრმესი მადლობა ვუთხრა მათ და ყველას, ვინც ჩემდამი მეგობრულადაა განწყობილი", — თქვა ბენქსმა.

**დ. კაკაბაძე.**

## ობიექტივში მსოფლიო

■ ვარდები გამარჯვებულს
■ გემრიელი სასმისი



ამ ფოტოზე აღბეჭდილია საქვეყნოდ სახელგანთქმული ავტომრბოლელი, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი და ბევრი „დიდი პრიზის" მფლობელი ჯეკი სტიუარტი (შოტლანდია). ახლა იგი სწორედ ერთ-ერთი ასეთი ჯილდოთი — „აშშ-ს დიდი პრიზით" სვამს ლუდს ამ საპატიო სპორტული ნადავლის მოპოვების შემდეგ. სტიუარტმა ერთსაათიან რბოლაში შესანიშნავი შედეგი აჩვენა — 118,495 მილი.

ასოშიეიტედ პრესის ფოტო.

▲ **ნიუ-იორკი.** 83 წლის ასაკში გარდაიცვალა 1908 წლის ოლიმპიადის ჩემპიონი ჭოკით ხტომაში ე. კუკი (აშშ). მაშინ კუკმა ჩემპიონობა 371 სანტიმეტრის გადალახვით დაისაკუთრა.

▲ **რომი.** ჯ. კომპანიონმა ქალაქის მახლობლად მდებარე ფაოლის ტბაზე საწყალოსნო თხილამურებით გამართულ რბოლაში საათში 126,30 კმ სისწრაფე განავითარა და მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ძველი რეკორდი 119,42 კმ იყო.

## სათხილამურო მერიდიანებზე

ეროვნულმა ფედერაციამ ავსტრიაში სათხილამურო სპორტის შემდგომი განვითარებისთვის დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა პროფესიონალიზმს. ფედერაციის ბოლო კონგრესზე, კიცბიუელში, გადაწყდა ეროვნულ და საერთაშორისო ტურნირებში საასპარეზოდ ამიერიდან არ დაუშვან სპორტსმენები, რომლებსაც პროფესიონალიზმთან რაიმე კავშირი ჰქონიათ. ფედერაციის თავმჯდომარემ კ. შლეგმა აღნიშნა: საპოროს „თეთრ ოლიმპიადაში" ავსტრიელებმა ადგილი სწორედ იმიტომ დაკარგეს, კ. შრანცი პროფესიონალიზმში რომ ამხილეს.

— ჩვენ გავვიჭირდება იმ სავაჭრო და ინდუსტრიული ორგანიზაციების დაუხმარებლად, რომლებსაც ავსტრიის გამოჩენილ მოთხილამურეთა სახელი საქონლის უკეთ გასაღებისთვის სჭირდებათ. მაგრამ ერთგვარი გამოსავალი უკვე მოვნახეთ — ჩვენს ქვეყანაში 600 ათასი დოლარი შეგროვდა, რასაც ავსტრიაში სათხილამურო სპორტის აღმავლობას, საუკეთესო მოყვარულთა მომზადებას მოვახმართ. ამ საქმეში ცნობილი სპორტსმენი ტონი ზაილერიც დაგვეხმარება — მწვრთნელთა საბჭოს უხელმძღვანელებს, — თქვა ფედერაციის თავმჯდომარემ.

სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციამ თავის წევრად მიიღო მსოფლიოში ყველაზე პატარა სახელმწიფოს სან-მარინოს (17000 მცხოვრები) ეროვნული ფედერაცია, რომელსაც მხოლოდ ერთი სათხილამურო კლუბი აქვს (კლუბი 600 წევრს ითვლის). სან-მარინოში სათხილამურო სპორტს საფრანგეთიდან მიწვეული მწვრთნელი რ. სულპისი უძღვება. ამ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში შედიან სამთომოთხილამურენი — იტალიის ყოფილი ჩემპიონი ე. მატოუსი და იტალიის ჩემპიონი გოგონათა შორის რ. კუაგლია.

ობერსტდორფის (გდრ) ხელოვნურსაფარიან ტრამპლინზე გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში მასპინძელმა ჰ. აშენბახმა ტრამპლინის ახალი რეკორდი (82,5 მ) დაამყარა, ორი ცდის ჯამში 237,6 ქულა მოაგროვა და 1,1 ქულით აჯობა თანაგუნდელ მ. ვასიპოვს, რომელიც 81 და 75,5 მეტრზე გადახტა.

ამას წინათ ჩეხოსლოვაკიის ტატრებში ტრამპლინიდან მხტომელთა საერთაშორისო ტურნირი გაიმართა. ეს შეჯიბრება დიდი ტრამპლინიდან ხტომაში საპოროს ოლიმპიადის ჩემპიონის, პოლონელი ვ. ფორტუნასთვის საბედისწერო გამოდგა: ერთ-ერთი ნახტომისას იგი დაშვების ბაქანზე სახით დავარდა. ექიმებმა გულმოდგინე გასინჯვის შემდეგ თქვეს, რომ ფორტუნა შესაძლოა სარბიელს ვეღარასოდეს დაუბრუნდეს.

საპოროს ოლიმპიადის მესამე სლალომისტი, იტალიელი რ. ტონი რამდენიმე დღეს იწვა საავადმყოფოში: ერთ-ერთ ვარჯიშზე მან მუხლი დაიშავა, რამაც საქმეში ქირურგის ჩარევა მოითხოვა. ამის მიუხედავად, ტონი ახალი სტარტებისთვის ენერგიულად ემზადება და გადაწყვეტილი აქვს 7 დეკემბერს ვალ დ'იზერში პირველი თოვლის კრიტერიუმში ხცადოს ძალა.

### სსრ კავშირის თასი წყალბურთში

**მეოთხედფინალი... (ფინიშ...)** 

მოსკოვში, ცსკა-ს საწყალოსნო აუზში გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშების ორი მეოთხედფინალური მატჩი. მოსკოვის „ტორპედომ" მინიმალური სხვაობით სძლია თბილისის „დინამოს" — 5:4, სსრ კავშირის წლევანდელმა ჩემპიონებმა, მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტებმა კი დაამარცხეს ლენინგრადის „ბალტიკა" — 6:4.

გამარჯვებული გუნდები ერთმანეთს შეხვდებიან ნახევარფინალში, რომელიც 15 ნოემბერს გაიმართება.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14.
უე 02745